

ენიპენი

ქართული
გაზეთი

სადღაა ძველი გუთნები,
რომ ყაშირები არეიონ.
შანქანებს გააქვთ გუგუნი,—
ამაზე ბრაზობს არესონ.

მხარში ვუდგევართ ვაჟკაცებს,
არა გვრვევია ღირება.
სტადინის გეგმით დავიწყეთ
საგზაფხულო ღამქრობა.

ი. მარიშვილი



№ 5. თბილისი. 1949 წ.
გამომცემლობა „კოპუნისტი“.
გამოცემის წელი XXVI.
ფასი 2 მან.

Обязательный экземпляр

ნახ. ი. გაბაშვილისა

გუზანდინი უინი

ვ. მაიაკოვსკი თავის ლექსში („ბლეკ ენდ ჟაიტ“) დასცინის კუბის კოლონიზატორს „სი-გარების მეფეს“ ენრი კლეის. როცა ამ ლექსის თარგმანი წაიკითხა ბიზონიის მმართველმა გენერალმა კლეიმ, გამოსცა მრისხანე ბრძანება მაიაკოვსკის ლექსების აკრძალვის შესახებ ბი-ზონიაში, რადგან... ვ. მაიაკოვსკის ლექსში გამათრახებული კოლონიზატორი, გენ. კლეის მამა ყოფილა.

ნახ. ო. გუროვი



ხურის მამის არამზადობა
არამზადობით დაიცვას
და ჰყვიროს: „ომი ამ წიგნსა,
აიკრძალოს და დაიწვას!“

მაგრამ პოეტის აჩრდილი
მასაც სპობს მწარე დაცინვით:
—ბუზმენტიანო ფინიავ,
რას ფართიფურთოზ კაცავით?



მოკითხვით
და
ნახვის ნახვით

სალაში ფოთელ ზოტეკნიკოს მამულის. მივი-ღეთ მისი წერილი, რომელმაც ძალიან გაგვახარა...

—რის წერილი, რა წერილი, —გაოცდება მამულია, —დავიფიცებ, რომ ნიანგისათვის არავითარი წერილი არ გამიგზავნია!

ბოდიში... მამულის მართლაც არავითარი წერილი არ გამოუგზავნია ჩვენთვის და, მიუხედავად ამისა, ჩვენ იგი მაინც მივიღეთ. მან წერილი გაუგზავნა ჰა-ლადიდის სოციალიზმის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელმაც...

მაგრამ მოდი უფრო გასაგებად გავაცნოთ მკით-ხველს ამბავი.

ფოთის მახლობლად სოფელ ჰალადიდში სო-ციალიზმის სახელობის კოლმეურნეობაში ბედნიერად ცხოვრობდა სამი ძმაც: ნ. ღვამიჩავა, ს. პაპავა და კ. კაკულია. ერთი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომე-რე, მეორე ფერმის გამგე, ხოლო მესამე ცხენების მომ-ვლელი. კარგი მეგობრები იყვნენ და კარგ დროსაც ატარებდნენ. ხმები დადიოდა —ისინი კოლმეურნეობის ქონებას ანიავებდნენ. რამდენჯერმე დაესხა მათ თავს რევიზია ფოთიდან, მაგრამ ყველაფერი რიგზე აღმო-აჩნდა. ყოველი რევიზიის დროს ასეთი სცენა იმარ-თებოდა:

რევიზორი — აბა, მორეკეთ ცხენები, ვნახოთ ზომ არ აკლია.

ღვამიჩავა — ინებეთ, ნახეთ... (ფერმის გამგე მორ-კავს ცხენებს).

რევიზორი — (ითვლის) ერთი, ორი, სამი... ოცი... ოცდაათი... სწორია. არაფერი არ აკლია... აბა, ახლა მიჩვენეთ რქოსანი საქონელი... (მორეკავენ რქოსან საქონელს. რევიზორი ითვლის) ერთი, ორი, სამი... ოცი... ოცდაათი... სწორია. არც ერთი სული არ აკ-ლია. ყოჩაღ, ბიჭებო! აბა, ახლა მიჩვენეთ წვრილფეხა ქათმები, ბატები და კვატები, ესე იგი იხეები. (ით-ვლის) ერთი, ორი, სამი... ორასი... სამასი... სწორია.

არაფერიც არ აკლია...
ეჭვი არ არის, ასეთი რევიზიების შემდეგ სათანა-დო აქტივ დაიწერებოდა და ვაზშეებიც შეიკმებოდა.

ასე და ამრიგად რევიზორები მოდიოდნენ, ით-ვლიდნენ და მიდიოდნენ.

მოულოდნელად მოხდა უბედური შემთხვევა. ღვა-მიჩავამ რევიზორი გაისროლა და უცაბედად მორა-ტყა საწყობის გამგეს.

ღვამიჩავა დაპატიმრეს. ამასთან დაკავშირებით კვლავ მოვიდა რევიზია, რომელსაც ღვამიჩავა აღარ ესწრებოდა. აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობას აკლდა 18 ცხენი, 51 სული რქოსანი საქონელი, 227 ქათამი და ასე შემდეგ.

დაპატიმრეს პაპავა და კაკულია. გამოირკვა, რომ ღვამიჩავა და ძმანი მისნი თურმე გულუბრყვილო რე-ვიზორებს თვალებს უხვევდნენ შემდგენიარად: შემო-წმება-დათვლის დროს მორეკდნენ სხვის ცხენებს, რქო-სან საქონელს და ქათმებს, ბრძენი რევიზორები ით-ვლიდნენ და „ყველაფერი რიგზეაო“ წერდნენ სათანა-დო აქტებში.

ღვამიჩავამ საპატიმროდან პრეტესტი განაცხადა: ყოვლად შეუძლებელია, რომ კოლმეურნეობას აკლდეს ცხენი ან სხვა საქონელი. წამიყვანეთ, მოგნახვე ჩემს მიერ საბალახოდ გაშვებულ პირუტყვსო. წამოიყვანეს ღვამიჩავა მილიციის თანხლებით. დარბის ღვამიჩავა მინდვრებში, ეძებს ცხენებს, უკან გულუბრყვილო მი-ლიციელი დასდევს. მორეკა და მორეკა ღვამიჩავამ კოლმეურნეობის კანტორასთან ცხენები, ხარები და შინაური იხეები.

გაიმართა ასეთი სცენა:
კანტორის წინ ზოგი მოუყრიათ ფოთიდან ჩამოსულ ამხანაგებს, მათ შორის არის ფოთის პროკურორის თანაშემწე ამხ. ა. ქურდიანი.

ღვამიჩავა — (რიხინად) აბა, დაითვალეთ ცხენები.

ერთ-ერთი რევიზორი — (ითვლის) ერთი, ორი... თხუ-თმეტი... ოცდაათი... სწორია.

ღვამიჩავა — აბა, ახლა დაითვალეთ ხარები, წვრილ-ფეხა ფრინველები და იხეები.

რევიზორი — (ითვლის) ერთი, ორი... ოცი... ორმოც-დაათი... ორასი. სწორია. არაფერიც არ აკლია.

ღვამიჩავა — აბა, მე ტყუილს ვიკადრებ? სხვა დრო-საც ბევრჯერ დაგივლიათ ღა აბა როდის ჰკლებია, რომ ახლა დააკლდეს!

კინალამ უკან გაბრუნდნენ და ბოდიშიც კინალამ მოიხადეს ფოთიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა, მაგრამ დახეთ უბედურება! ღვამიჩავას ოინბახობას ფარდა ახადა ერთ-ერთმა კოლმეურნემ და ღვამიჩავა კვლავ მილიციელს გაჰყვა საპატიმროსაკენ.

რალა თქმა უნდა, ღვამიჩავა და მისი ორი ძმაც კი კაკულია და პაპავა სათანადო სასჯელს მიიღებენ, (რადგან ფოთის პროკურორს მარად ჩასჭიდა ხე-ლი ამ საქმეს), მაგრამ, ჩვენის აზრით, ღვამიჩავას მარ-ტო ორი ძმა როდი ჰყავდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მის ღვიძლ ძმებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ადგილო-ბრივი ზოტეკნიკოსები მამულია და ალანია, რომლე-ბიც მშვენიერად უწყობდნენ ხელს აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებას. ჩვენ ვნახეთ ერთი პატარა ბარათი მიწე-რილი ზოტეკნიკოს მამულისა მიერ სოციალიზმის სა-ხელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარისადმი: — „ამის მომტანს მიეცით ერთი ცხენი ჩემი მოცემული ცხენ-ბიდან“...

ვინ იყო „ამის მომტანი“ ეს არავინ იცის, მაგრამ ის კი გამორკვეულია, რომ კოლმეურნეობას დააკლდა ერთი თოხარეი ცხენი და სამაგიეროდ დარჩა „ამის მომტანის“ მოტანილი ქალაქის ნაგლეჯი, ზემოალ-ნიშნული წარწერით.

შედავთ რა გულუბნა პატივცემული მამულია! „გაუცით ცხენი ჩემი მოცემული ცხენებიდანო“... (ისე ლაპარაკობს, თითქოს ზოტეკნიკოსი მამულია კი არა მუხრან-ბატონი იყოს).

უკაცრავად ბატონო ზოტეკნიკოსო, თავადები და ბატონები ჩვენ ზოგი შავ ზღვაში გადაყარეთ, ზოგიც სანაგვე ყუთში... იქ არის მათი ადგილი. თქვე-ნი ადგილი კი არ ვიცით სად არის, ვფიქრობთ კი, რომ ყველაზე კარგი ადგილი თქვენთვის საბრალდე-ბულს სკამია.

ამასთანავე გთხოვთ გადასცეთ გულწრფელი მოკი-თხვა თქვენს კოლეგას ზოტეკნიკოს ვ. ალანიას. მისი ადგილიც ზომ თქვენს გვერდითაა.

მაშ კიდევ და კიდევ მოკითხვა...

50450

ჩვენში მსირდება—მათთან იზრდება

„პროდუქტებისა და საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირება, რაც ხორციელდება საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობას...“

ნახ. გ. ლომიძისა

(„პრაგმა“)



ჩვენში მცირდება, კლებულობს და ისა გვმატებს მხნეობას, რომ ეს დაკლება ზრდის სწორედ მშრომელთა კეთილდღეობას!



მათთან კი... დიან, იზრდება, და ეს ზრდა თავზარდამცემი სიმშვიდეს უფრთხობს მტაცებლებს, მათთვის მახვილის ჩამცემი!

გიჟი პრაგმა?

არასოდეს არ უნდა მიმართო ქალს ასეთი შეკითხვით, რადგან ის ამაზე პირდაპირ პასუხს არ მოგცემს.

მე და მარინე ჩვენი სამინისტროს კონფერენციაზე გავიცანით ერთმანეთი. მას ნაცრისფერი შალის კაბა ეცვა, სწორ ნაკვეთიან სახეზე ზღვისფერი თვალები ბუნების ჰარმონიულობის ბედნიერ დაგვირგვინებას წარმოადგენდა. კონფერენციიდან გამოვედი. რუსთაველის პროსპექტზე კიადობდნენ ელნათურები. ნელი ნიაფი არხევედა ახლად შეფთოვლილ ხეებს, არხევედა მარინეს წაბლისფერ თმებსაც...

შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენი ურთიერთობა უფრო და უფრო მკვიდრდებოდა.

ერთ დღეს მარინეს ყველაფერში გამოვუტყდი და ვთხოვე გამხდარიყო ჩემი ცხოვრების მეგობარი...

არ დავედრდი მის პასუხს და მივმართე კითხვით: გიყვარვარ? მას ჯერ არათფერი უთქვამს, მერე გაელიმა და დამთანხმდა მეგობრობაზე...

ამას წინათ მარინე ჩვენს ტრესტში გადმოიყვანეს სამუშაოდ, მან მოსვლისთანავე მოიპოვა მოწინავე ინჟინერ-არქიტექტორის სახელი. პრემიაც მიიღო რუსთავის მუშათა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტისათვის.

ერთ საღამოს ტრესტის კლუბში საერთო კრება იყო. გამოსული ორატორები ასახელებდნენ ტრესტის წარმატებებს და ლაპარაკობდნენ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოიპოვებოდა ზოგმა ჩამორჩენილთ შორის მეც დამასახელა, მაგრამ აი, სიტყვით გამოვიდა მარინე. ის ვრცლად შეგხო წარმატებებს და ილაპარაკა ჩამორჩენებზეც. მან დაასახელა ამხანაგები, რომლებიც ვერ ასრულებდნენ გეგმას და ოი, საშინელებავ, მეც...

ტრესტში თითქმის ყველამ იცოდა ჩვენი დამოკიდებულება და წინა რიგები შემოტრიალდნენ, ახლო-მახლო ჩურჩული ატყდა. რა უნდა მექნა? ალბათ ძლიერ გაწითლებული ვიყავი....

სიტყვით მეც გამოვედი. ვერაფერს უარყოფდი. მარინეც და სხვა ამხანაგებიც მართალნი იყვნენ. კრებას აღუთქვი, რომ მალე მოწინავეთა რიგებში ჩავდებოდი.

კრება დამთავრდა. უფრო გაოცებული, ვიდრე ნაწყენი მარინეს საქციელით, სახლისაკენ გამოვემართე.

ამ დროს ვილაცამ მკლავი მკლავში გამიყარა. ალბათ ძალიან სულელური გამომეტყველება მქონდა, რადგან როცა სახე მისკენ მივაბრუნე, მან გადაიკისკისა.

მერე ჩემი მკლავი მკერდთან მიიხუტა და თრთოლვით მკითხა: გიყვარვარ?!..

ნოდარ გუჩუაშვილი

ქაჩაგმული ნაკვეთები

1. თეატრში „ერთი ლამის შეცდომები“ ყოველ ღამე მეორდებოდა.

2. გამადიდებელი შუშა განდიდების მანიით იყო შეპყრობილი.

3. ბავშვები ყველაზე გვიან სიტყვების თამაშს სწავლობენ.

4. შეცდა სადღეგრძელოებში დაოსტატებული მოქი-იფე: ას ოცი წლის მოხუცს უსურვა „ას წდამდე იცოცხ-დეო“.

5. დარიგებებს ის ცად ყურშიაც არ უშვებდა და მეორედან რალას გამოუშვებდა.

6. მეღობი თავი მუდამ მედნით ქონდა მოთხუ-ნული: ძველი ჩვეულების მიხედვით კადამს თმებზე ისუ-ფთავებდა.

ედიშაჲ ყიფიანი

ნიანგი ახალ მებეთქი



გვინახუოთ!

შორს თხები აღიგეს ბალოდარს

ნუ გენყინებ ამხანაგო სიძოხ!



ლი ზარილი ჯიარკაპაიოს რაინდობა უფროსი
პი. ბ. ქიქოძის

პატივცემულო უფროსო! ახალციხის სადგურის წინა მოედნის „მშენებანი“—მაჩანებელი გუბუნი და ახილი ტლიანი მღვანე რომ გვიძაძეს, მაინც არ გვეყოფა აზრით ის აღმართობა, რომელი გამოიწვია მესთან გულში ვერ ცნობად რაინდობის გავაზნის შესახებ, მშენებ ამ დიდი საქმის ბრწყინვალე დაგვირგენება.

მუხედავად იმისა, რომ სადგურის შინაა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მგზავრთა პუნტურე მოთხოვნებს, მისი ერთადერთი (არც ისე დიდი) დანახმა მგზავრებს მესთანის სუთი რაიონის მცხოვრებთა მომსახურებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი მაინც ვიწმინდით, რომ გვაქვს სადგური, თუქცა მისი სამხრეთ — აღმოსავლეთი ფასადი, ჩვენს შორის რომ დავით, შორიდან მტერს უკაცად გულს, ანდობა ვი მოყავარს.

თუ სადგურის სარდალს მოთავსებულ ტვირთის შესანახს იოანის არაფერ ვერაბა, ეს მარტო იმიტომ როგორა გამოწვეული, რომ პატარაა, არამედ იმიტომ, რომ სინესტის გამო ამ სარდალში ვერ ძებნეს.

ყურადღება რომ არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სადგურის ადგილად ადგილებმა მესთანის შირიგული ტალინი, მაინც მოგვრჩა, რომ არსებითი გათვალისწინებული მოედანი, რომელიც აღმათ ოდნავ სადგურისგან უნდა იქნას, ვერ დაამყარებდნენ მგზავრების მოთხოვნებს... გთხოვთ, პატივცემულო უფროსო, სიგარე და განი მოუმატოთ მას.

რამდენიც არ უნდა მოითხოვს კაცმა მესთანის ბიდი, მაინც არ შეიძლება მოვალეობი მას წყაღე. ბოლო, როგორც უფროსი მოთხოვნა გავგვიგონა, რაინდების სხვა სადგურებში აუღლებული მესთანს კი ახდებდნენ მგზავრებს. ნებაგინი აქვს ჩვენ, მაგრამ ვერაფერ კი ვთქვით, რომ რაინდების სადგურებში კანალიზაცია უნდა იყოს. სადაც ვერაფერ ნაბი გავსაძვირებდნენ ადამიანებისთვის უსიყვარულო... და თუ პატარა რეს არ გვაქვს მესთანს ეს საქმე, მით უფრო გინდეს უნდა უნდა ახსოვდეთ.

არც ის ვერა, რომ რაინდების სადგურს ტელიფონი არა პეტს, რათა ახალციხის გავაძვირებდეს. მათუდები, ხის ბოლოები, ამაბიტი არ გვაქვს—ამბოინ რაინდებისა... იქნებ პატარა რომ დავით, ვუცხები, იქნებ მართლა მუდღეღელა ოთხი ბოძისა და რამდენიმე ასეული მტერი მაიოების მოედნე? გარწმუნებთ, პატივცემულო უფროსო, რომ სუთი ანდენი მასალა სადგურის გვერდით უფრო და დიდი ხანია გავუქვდა.

პატივცემულო უფროსო! მიუხედავად ამ ნაილისა, ჩვენ დიდებ აღმართობაზე ვართ მესთანის რაინდების გავაზნის. გარწმუნებელი ვართ, თქვენ გუთხიბად მიიღებთ ჩვენს ლია ზირილს, გვინახუბით ახალციხეში და მამიძე... ყველფერს დაგვიპრებთ... ყველაფერზე დაგვიპრებთ.

ნახვამისი. თქვენი ჩამოსვლის, ან თქვენი ბრძანების მიღების მოლოდინში მიიღებთ მესთან პიუტებს: თეიმურაზ გაბაძე და დიმიტრი ზედაფარი, 1949 წლის 25 თებერვალი. კ. ახალციხე.



გამოღებებიან თუ არა საერთოდ თხები ბაღის მონღოლებად?

ეს საკითხი შეიძლება სხვა სიფუტეში გაურკვეველი იყოს, მაგრამ სოფელ აღიგენის მცხოვრებლებმა მშენებრად იცინა, რომ თხა, როგორც ასეთი, ყოფილად უკუ პირუტყვია და მებადლობა სრულად არ ეხერხებათ, მაგალითად, აღიგენში ერთადერთი ბაღია, რომელიც მღვანელობს კულტურის სახლის წინ. აღიგენი რამდენიმე ორგანიზაციებმა, როგორც ჩანს, მისი მოვლა-პატრონობა მიანდეს თხებს. ამ თხების უსაქისმებელად შედგად მათ მიერვე დატყვევრილ იქნა, ესე იგი უფრო მდბილად რომ უკეთავი, დახრულ იქნა, ანუ კიდევ უფრო მდბილად, აობრებულ იქნა მთელი ბაღი. (აობრებულად).

არა, ჩვენი სამოლოოდ დავრწმუნდით, რომ თხა არ გაანია სათანადოდ შეგნება ბაღის მოვლისთვის, ტოლად გვეგონება, რომ თხები მოხსნილ უნდა იქნებოდნენ მებადლობის თანამდებობიდან (წინასწარ რომ საკითხის გადასწავლად საჭიროა სოფლის კვირით აღერ გაუფრთხილებს გარეშე), ბოლო ბაღს საბუთში აღმოჩნდეს ერთი დანტეტრეს-მიმღებულად უზოაბესი იქნებოდა დაგვიგნა ისევ აღა აღადაინა.

ოპო დ აღა აღიგ...



მადლობა



ნ. რამდენი

რომ არ დახვი ეს საკითხი კოლმურნობა ხაერთი კრებობებშია მიქცა.

პი. ბ. ქიქოძე მე ვარ და კოლმურნობაზე ჩემია—ფოქსი პასუხი მოუდებოები დაღმა 12 მეტრისა მოთავდა მტრი და... არა გვაქვს, მაგრამ ჩვენს მე ვარ, კოლმურნობა პასუხს მე ვაძღვ და არა იქნება—ამადა მიქცა, მღვანელობს ჩამოდა მოხლდა მესთანის და ხაქცა მესთანის ადგის საქმე.

ჩემი საქმეა. თავგებობაზე ვარ და არა გუდარა. ნუ მე ჩემს პირად საქმეს—წარება და მიქცა.

ნ. რამდენი

„ვიცი უფად მიიღეთ პური, კარტოფილი, ხაღ...“ მიღიწერა კოლმურნობის თავმჯდომარე ხარ... მანგნები არ გაჯალა და მუხა-საქონალი, მგერი გაყვს ცხვარი და მუწველი ძროხა. საკუთარი ღონი არ გქონდათ და ვენახს აშენებთ... ისიც ვიცი, რომ კოლმურნობებმა კვლავ აგირიხის თავმჯდომარე...

ყველაფერი ეს დიდად სასიამოვნოა, მაგრამ... თუ იმ ღამეს თქვენთან არ დავრბი, ამისათვის ნუ დამეძღვრები. განა დრო არ მქონდა? განა სულითა და გულით არ მიმდო? მაგრამ ახ ვენა, არ შეგნებია...“

ასეთი წერილი ჩამვირდა ხელში, როცა ახალციხიდან სოფელ ვალსავედ მივდიოდი. სამწუხაროდ, წერილის ბოლო ნაწილი დასტურებული იყო და ვერ დავადგინე, თუ რატომ საყვედროდ აგვიძღო... აგირიხი. ვერც მის ვინაობა გავიგე... მხოლოდ მივხვდი, რომ წერილი ახალციხის რაიონის სოფელ ვალსავედ მახარაბის სახელობის კოლმურნობის თავმჯდომარის ახ. სიმონ კაკაჩიშვილის

მისამართით იყო დაწერილი. რატომ არ გაჩერდა? ანუ იცოდა ეს აზრი და მოსვენება არ ჰქონდა. იქნებ აწერინეს რამე, იქნებ სტამბოლიყვარები არ არიან ვალსავედ, იქნებ... და ვინ იცის რა არ გადმოქრე... ამასთანავე სოფელიც გარსწრდა. პირველად თვალს მოვიკითხე ჩარსტოვლის შერობებს... წარმოიდგინეთ, სოფელი, კი არა ნამდვილი ქალაქი იყო... ქუჩარა გასრიალდა ჩვენს წაწახა და უზარბაზარი შერობის წინ გაჩერდა.

„საკოლმურნობო კლუბში“ ამოვიკითხე მთავარი კარებთან და კიბეს ავეცი... შემდეგ კოლმურნობის თავმჯდომარეზე დამთავალდებოვნა ბაღები და ბოსტნები, ფერმა, ენისათვის განკუთვნილი ფერმა. ყველაგან ჩანდა ნაყოფიერი შრომის უსდგე, სტუმართმოყვარეობაზე დადგა არ ყოლით გავილ კოლმურნობებს... მაშ, რატომ არ გაჩერდა ლაბით ის ამხანაგი კლუბი არ მასვენებდა ცნობისმოყვარეობა.

— სოფელი გავიართო... ევრებნი სიმონის.

— გავიართო... მანასტებს, მერამ

ვტყობ ამ ისტაიონა ჩემი სურვილი.

— ბოდიში... ევრებნი მე და ვტყობ ლობ გამოვასწრო ჩემი შეცდომა... სოფელი კი არა, ქალაქი ვიცი დავაფორმირეთ, ჩემი სიმონ!

წავდილი, დავაფორმირეთ... მეც არ გავჩერდი იმ საღამოს ვალსავედ, მიუხედავად იმისა, რომ დროც მქონდა და საქმეს აზრი შევიცვალე. წერილის ავტორის გხსს დავადგე და აი რატომ:

მიუხედავად სიმდიდრისა, სოფელ ვალსავედ მახარაბის სახელობის კოლმურნობის ხელმძღვანელები არ ცდილობენ აშენონ ახალი საცხოვრებელი ბინები... ძველი, რა თქმა უნდა, არ შეგვრება მათს კულტურის ღონეს. ირსართულიანი შერობები, რომლებიც პირველად თვალში მოხვდა, თუმცა მატის მშენებლებს გუთვინის.

ძველი ცხოვრების წახეიბი ძირფესვიანად დანგრეა მესთანში. ახა, ნახეთ სოფელი აწურთი, აგარა, ურაველი, ოთა, ოზორა, დამალა... რა კოჭარა ღლები აშენებენ კოლმურნობა უზოგეს... იქ დღევ ლამაზია და ღამეც სააფრთი.

ვალსავედ კი... დამე თუ ვერ დავრჩე, ნუ გვიწახება ამხანაგო სიმონ!

ბ. მამაძე




ნახ. კ. ქიქოძის



1. მრავალჯერ ჩირანხული... მესხეთის სოფელი...



2. სტალინური მზის ქვეშ...



3. ...აღმოცენდა.

კარგა ხანია ასეთი დიდად საწყენი არაფერი შეხვედრია მისტერ ლოუს. დილას, ჯერ ყავის მირთმევის დროც არ იყო, რომ მოსამსახურე ქალი შემოვიდა და მოახსენა:

—საწყენი რამ უნდა გითხრათ, ბატონო, ჯონმა თქვენი ჭირი წაიღო!

ლოუს გაფითრდა, გაზეთი გაუშეშდა ხელში და ცრემლნარევი კილოთი იკითხა:

—როგორ თუ ჩემი ჭირი წაიღო!

—მოკვდა, ბატონო!

—უყურადღებობა, მიუტევებელი უყურადღებობა, ამისათვის გაქმევთ პურს? რას მიკეთებთ, ექიმს ვერ დაუძახებთ?

—დროზე ვერ მოვიფიქრეთ, ბატონო, უცბათ ასტკბოდა მუცელი და ვიდრე რამეს მოვისაზრებდით, სუნთქვა შესწყვიტა...

—მოწამლეს, უსათუოდ მოწამლეს! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, სასამართლოს გადაცემით, სახრჩობელაზე ჩამოგკიდებთ!

—როგორ გეკადრებათ, ბატონო!—შეხედა მოსამსახურემ.

—თქვენ არ იცით რა ეკადრება ბატონ ლოუს, დიახ, არ იცით! მე თქვენ გიჩვენებთ... საწყალი ჯონ!.. გაეთრიე აქედან!..

მოსამსახურე გარეთ გავიდა. ლოუს კვლავ აქვითინდა:

—საწყალი ჯონ... ჩემი ჭრელთვალემა ჯონ! ასეთი ოთხდღის მთელს ამერიკაში არ მოიპოვებოდა! სალახანები... მომიწამლეს, ექვგარეშეა, რომ მომიწამლეს...

ცრემლები მოიწმინდა, დაფიქრდა, ტელეფონის მილი აიღო და ნომერი აკრიფა.

—ექიმ პირსონის ბინაა? დოკ, თქვენ ბრძანდებით? დილა მშვიდობისა, მისტერ დოკ! რაზე შეგაწუხებთ? მართალია თქვენ არ გეხებათ, მაგრამ მაპატიეთ, მედიცინა ყველაფერს არკვევს და იმიტომ მოგმართეთ... დიახ, პირუტყვია. ძალი მომიწამლეს, ჩემი ჯონი. . დიახ, განკვეთა მინდა... მაპატიეთ დოკ, გასამრჯელო ჩემზე იყოს...

ხუთი წუთის შემდეგ ექიმი პირსონი ლოუს სახლში გამოცხადდა და პაციენტის პატრონს ესაუბრებოდა:

—ნუთუ ასეთი რამ მოსამსახურეებმა გახედეს. შესაძლებელია თავისით შეჭამა რამე.

—არა, დოკ, მე ვიცი მაგათი ამბავი, არამზადები არიან, გამოუსწორებელი არამზადები!

მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს და უკვირდით, რომ ასეთ რამეზე ბატონმა ლოუს თავი შეიწუხა.

—სად განკვეთოთ, დოკ, აქ თუ გარდაცვლის ადგილას?—იკითხა ლოუს.

ექიმი ჩაფიქრდა და მიუგო:

—რასაკვირველია გარდაცვლის ადგილზე...

მისტერ ლოუს ამბის მომტან მოსამსახურეს მიმართა:

—აბა, გავიძიებ და გვაჩვენე სად ასვენია ნეშტი.

მოსამსახურე წინ გაუძღვა. ოთხი სართული ჩაიარეს და ბნელ სარდაფს მიაღწენ.


—ჯონს აქ რა უნდოდა, მას უკეთესი ბინა ჰქონდა... აქ ვინ ჩამოიყვანა!—განრისხდა ლოუს.

—აქ იყო ხოლმე, ბატონო, სად წავიდოდა!

კარები გააღეს. ექიმისა და პაციენტის ნამდვილი პატრონის წინ გაშლართული იდო გარდაცვალებულის გვამი, მოსამსახურე ზანგის ჯონ დიკსონის ნეშტი.

ლოუს სიცილი წასკდა:

—რა ოხრები ხართ, ვერ მითხარით რომელი ჯონი გარდაიცვალა? ბოდიში დოკ, ტყუილად შეგაწუხებთ, განკვეთა საჭირო აღარ არის...—და მისტერ ლოუს ექიმი ვისკზე მიიპატიჟა მეოთხე სართულში.



1. ბურთი საკუთარ ბადეშიც გაესვებაო.
2. არტალა და არტელი—ორივე გემრიელიაო.
3. დიდი მწერალი ზატარა მოთხრობაშიც გამოჩნდებაო.
4. დისერტანტმა ოზონენტს—შენც სუ... და მეც სუო...
5. დისერტანტმა წვალი დალია და ოზონენტს შესუდაო.
6. ღვინის ფასმა დაიკლო და წვალმა იმატაო.
7. ფოსტის თანამშრომელმა კონვერტი ინატრაო.
8. სახლი ცეცხლით იწვოდა, შესანძრე—სირცხვილითო.

შეკრიბა ზ. შალაშვილი



—დეიდა, წელს პაიჭაძე ითამაშებს?

ყორნები

ყორნები ყორნებს ხროტინით
გადასძახიან მქისედ:

„გვეყო ამდენი ლოდინი
სისხლი გვეყურია ისევ!“
სისხლი სწყურიათ... მათ მუღამ
აფრთხობს მშვიდობის შიში, —
ასეთი არის, რას იზამ,
მათი მოდგმა და ჯიში!

* * *

უთვალავ მაგალითებით
დღესაც ვრწმუნდებით განა,
რომ ამ წუწკ ფრინველს ქვეყნა-
დაც

მომგონი ბლომად ჰყვანან:
ზოგი პარლამენტს აშმორებს,
ზოგი შავ ბირჟას მართავს,
ზოგიც კულუარებში
შფოთის ქსელებსა ხლართავს...

და ყველგან ქვეყნის არევა
შედის მათს ანგარიშში,—
რას იზამთ, ასეთი არის
მათი მოდგმა და ჯიში!

* * *

მარშალმა „მოამარშალა“
ფაშიზმის სარბიელი:
სამყაროს მრავალ კუთხეში
„გეგმები“ შეჰქმნა ვრცელი
და ახალ ომის მზადებას
ჩაუდგა საძირკველი,
რომ ტრუმენ-ჩერჩილს კვალადაც
სისხლით დაბანოს ხელი,
ახლა კი, თითქოს დარწმუნდა,
რომ მისი ნატვრა ახლა,
ფრაკი—მუნდირზე გასცვალა
და კვლავ ჟანდარმი გახდა!

ომს ელის შავი ყორანი,
აქვს სისხლის ანგარიში,—
აი, როგორი ყოფილა
მისი მოდგმა და ჯიში!

* * *

გენერალ კლეის ბერლინში
მისცეს ჰიტლერის ტახტი,
განუკითხავად თარეშობს,
დახტის ფაშიზმის ლახტით,
პროვოკაციის ოქოლი
ქარები უქრის თავში
და დაგეშილი ძაღლივით
ულრენს საბჭოთა კავშირს.
ომის ოთურმას თამაშობს,
აფრთხობს მშვიდობის შიში,
რას იზამთ, ასე აწვალებს
მისი ყორნული ჯიში.

* * *

საფრანგეთს დე-გოლი უბღერს,
ინგლისსა ტუქსავს მოსლია,
იტალიაში— დე გასპერს
კვლავ „დუჩეს“ მაღა მოსვლია,
და მათ იმით სურთ თავისი
ისტორიაში შეყვანა,
რომ ყველა ცდილობს უოლ-
სტრიტს

მიჰყიდოს თვისი ქვეყანა.
მიჰყიდონ მშვიდობის საქმე
და ახალ ომის მზადებას
ყოველმხრივ ხელი შეუწყონ
მსოფლიო არამზადებმა.
ამაო არის ყორნების
ფუსფუსი, სისხლის წყურვილი,
მათ ყრანტალს ჩააწყვეტინებს
ხალხთა მშვიდობის სურვილი.

თარხი

ევკალიპტის ნათქვამი

მე, ჩემს ახალ სამშობლოში
ყველა მივლის და მამხმეებს,
სილამაზით ბევრ ხეს ვჯობნი,
სიმაღლით კი—ალვის ხეებს.
ამაყ მუხას, რცხილას, კოპიტს,
ცაცხვს სახელი რომ გაუთქვამს,
მეც პატივს ვცემ, მაგრამ მათზე
საყვედურიც უნდა ითქვას.
ლამაზ მთებზე ერთმანეთი
მიჩნიათ ტოლად, ძმებად.
ბარად ჩავლენ?—მუღამ კოხტა
გზოში სურთ შებრძანება.
მე კი, მათებრ როდი ვფიქრობ
რა არ ვარჯა, რა სჯობია,
მუღამ იქით ვეშურები,
სადაც დიდი ჭაობია.

ევკალ-ბარდებს რა ადარდებთ?—
გზებზე ჩვენი გამოჩენა,
ყველგან ვლამჭრობთ, ჭაობს ვაშრობთ,
მათი მტერი ჩვენ ვართ, ჩვენა!
რად ვხმაურებთ? ჩვენ ვინა ვართ?
თქვენ კოლხეთში მოდით, გვანახეთ.
ხან შავი ზღვის წვიმა გვლოცავს,
ხან კი ზენა ქარი გვარხვეს.
სტუმრებივით თუ ვიყავით,
დღეს მასპინძლებს დავმსგავსეთ.
ყველგან ჩვენი ჩრდილებია
ბათუმის თუ დრანდის გზაზე.
ყველგან ჩვენ ვართ, ჩვენ ვშრილებთ,
სიცოცხლე ვინ გაგვიანლა?
მასაც ვიტყვი, არ დავმალავ —
აქ, ბერიამ დავგასახლა.

ზ. რიონელი

აკ ვახუშტის

ნახ. გ. ფირცხალავასი



—ხედავ, ჩვენი კოკა წელსაც საბჭოთა კავ-
შირის ჩემპიონია ტანვარჯიშში!
— ხომ გეუბნებოდი—„კოკა ყოველთვის
წყალს ვერ მოიტანსო“, —კოკა თაყაიშვილზე
არ ვრცელდება-მეთქი!

რომის პაპმა პიუს XII მარშალის გეგმისა და ომის გამოცხადებას
ბელთა მისამართით განაცხადა: „თქვენ იღწვით, რათა დასავლეთ
ვერობა დააყენოთ ნამდვილი პროგრესის გზაზე“

წმინდანის
თაღლითობანი



ერთი შეხედვით „ღვთის მოსახე“
როგორ იღწვის, რა დღეშია:
„პროგრესის გზით მიმავს“ თურმე
ბნელ ფაშიზმის აგრესია!

ამ თვალთმაქცი თაღლითობის
ლიანდაგზე გადახუდიც,—
ვერვის აცდენს, აგრემც ამ პაპს
უცხოვნდება პაპის სული!

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე,
კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1949 წ. 9/III. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფიკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შტკ. № 312 ლენინის ქ. № 14 დაბეჭდილია
სტამბა „ზარია ვოსტოკის“ ოფსეტმანქანაზე, შტკ. № 631. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 39. ტირ. 7600 უგ 00998